№ 225 ოქტომბერი 18, შაბათი 1886 ოქტომბერი 18 შაბათი № 225

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიგეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

კვირას, 19 ღვინობისთვეს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

რას ვეძებდი და რა ვპოვე

კომედია 3 მოქმედებად, კნ. ბარბ. ჯორჯაძისა.

II

სუსტი მხარე

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია, საფაროვი-აბაშიძისა, მელიქიშვილისა; ბბ. აბაშიძე, აწყურელი, ცაგარელი, მაქსიმიძე.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 17 ოქტომბერი

გუშინდელს „ივერიაში“ მოყვანილია ცნობა, რომ ქართულს თეატრში ხალხი ბევრი არ დადისო, დრამატიულმა საზოგადოებამ უკვე იზარალა ორმოც-და-ხუთი თუმანი ერთის თვის განმავლობაში და თუ ახალ სახსრად მოგონილმა აბონემენტმაც არ გასჭრა, შენი მტერი იქნება ჩვენის თეატრის საქმეო.

ეს ფრიად საყურადღებო, გულსატკენი და ამასთანავე სამარცხვინო ამბავია. რას უნდა მივაწეროთ ასეთი გულ-გრილობა ჩვენის საზოგადოებისა, გულ-გრილობა, რომელიც დანაშაულობად და ცოდვად ადვილად ჩასათვლელია, თუ ჩავუფიქრდებით რა არის ერისათვის თეატრი და რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვისა, დიაღ, ჩვენთვისა, ჩვენთვისა!..

ზოგიერთის წინ-დაუხედავს ავ-ყიაობას რომ ავყვეთ, იმ ავ-ყიაობას, რომელსაც ყოველ ამისთანა სამწუხარო საკითხავზედ ერთი და იგივე პასუხი აქვს ხოლმე წინადვე მომზადებული, ვიტყოდით გაცვეთილს ფრაზას: საქმე კარგად ვერ მიჰყავთ, თორემ საზოგადოება როგორ არ მიეშველებოდაო,—და ამით ჩვენ თავსაც მოვატყუებდით და სხვასაც თვალებს ავუბამდით. მაგრამ ამისი თქმა ცოდვაა, ცოდვაა იმით, რომ აშკარა ტყუილი იქნება. დრამატიულმა საზოგადოებამ, რომელმაც კისრად იდვა ჩვენის თეატრის საქმე, დიდი მხნეობა გამოიჩინა თეატრის კარგ გზაზედ დაყენებისათვის, დიდი შრომა და ჯაფა შეალია ზედ. ამ მხნეობამ, შრომამ და ჯაფამ ამაოდ არ ჩაიარა: ჩვენი თეატრი დღეს მართალს თეატრსა ჰგავს ყოველისფრით. თვალისათვის საკმაოდ ფაქიზად და ლამაზად მომართულია. გინა სცენის მორთულობა აიღეთ, გინა დეკორაციები, გინა არტისტების ჩაცმა-დახურვა სცენაზედ, გინა წესი და რიგი წარმოდგენების მიმავლობისა—ყველა ეს იმოდენად კარგია და მართებული, რომ გვიკვირს კიდეც ამ მოკლე ხანში როგორ შესძლო დრამატიულმა საზოგადოებამ, რომ ამ მხრით ესე მალე განაკარგა თეატრის საქმე. ამ მხრით თეატრის საქმეს განკარგება მით უფრო დიდ ღვაწლად გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ, რა იყო ჩვენი თეატრი ამას წინად. გარდა ამისა დრამატიულის საზოგადოების მხნეობამ და განმკელობამ თავისი მარჯვე ხელი დაატყო თვით შინაგანს მხარესაც თეატრისას. უკეთესნი არტისტები მოწვეულნი ჰყავს, არტისტები კარგად მომზადებულნი გამოჰყავს სცენაზედ, როლები არამც თუ იციან მარტო, არამედ ეტყობათ კიდეც რომ დაჰფიქრებიან, გაუგიათ, უცვნიათ, შეუთვისებიათ თვითონ როლების მნიშვნელობაცა პიესაში. მართალია, ცოტა ოდნად რეპერტუარი ჰღალატობს, ზოგჯერ უფერულს და ხშირად ნახულს პიესას გვაყურებინებენ ხოლმე, მაგრამ ნუ თუ ეს ბრალად უნდა დაედვას დრამატიულს საზოგადოებას! აქ დრამატიული საზოგადოება არაფერს შუაშია, იმიტომ-რომ რეპერტუარის სიმდიდრე, სიკარგე, განახლება—ყოველივე ეს მწერალთა საქმეა და მწერალნი კი, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ ხანად არსადა სჩანან. გაუჩენელს დრამატიული საზოგადოება ვერ გააჩენს და თუ ამ მხრით რამე ესაყვედურება, მარტო ისა თუ,—სადმე მწერალი იყოს და დრამატიულმა საზოგადოებამ გზა არ მისცეს, ხელი არ მოუმართოს, წინ გადეღობოს. აბა სად არიან ამისთანა მწერალნი? აბა დაუწერია ვისმე იმისთანა პიესა, რომლის გამო კაცს ნება ჰქონდეს შეჰსწამოს დრამატიულს საზოგადოებას, რომ მიდგომით პიესა დაიწუნაო და წარმოსადგენად უარ-ჰყოვო!.. აგი მოგახსენებთ, დრამატიულს საზოგადოებას ამ მხრით ბრალი მაშინ დაედებოდა, თუ რომ ან მწერალი იყოს და ხელს უცარავდეს, გზას არ აძლევდეს, ან პიესები რამ იყოს და იგი მიდგომით კარგს უკან აყენებდეს, ცუდს ირჩევდეს, ანუ ახალს სდევნიდეს და ძველსა ჰრჩეობდეს განგებ, რაისამე ანგარიშით. აქ თუ დანაშაულობაა რამე, ჩვენს საზოგადო ვითარებას და გარემოებას უნდა დაჰბრალდეს, ესე იგი, იმას, რის შეცვლაც და შესწორებაც დრამატიულ საზოგადოების ხელთ არ არის, რაც უნდა დიდად მოიწადინოს. უმადურობა იქნება ჩვენ მიერ, არა ვთქვათ, რომ ამ მხრითაც დრამატიული საზოგადოება თვის მზრუნველობას არა ჰზოგავს და რაც შესაძლებელია სცდილობს ამ მხრითაც საქმეს ეშველოს რამე.

მაშასადამე, ის ყველგან წამოსაჩხირებელი და გაცვეთილი ფრაზა, რომ ვერ ირჯებიან საქმის მოთავენიო და ამიტომაც საზოგადოებამ თეატრზედ გული აიცრუაო, ვითარცა ქარის მოტანილი, ქარმავე უნდა წაიღოს. ეს ფრაზები მივაჩემოთ იმათ, ვისაც თავი და ბოლო ვერ გაუგია, ვერ გამოურკვევია და იმის საჩვენებლად, რომ „მეც ნახირ-ნახირო“, საცა არ გინდათ ამისთანა ფრაზას ჩამოაჩხირებს ხოლმე. მაშ რა უნდა იყოს მიზეზი ჩვენის საზოგადოების ასეთის საქციელისა, რომ თეატრში არ დაიარება? ნუ თუ ისა, რომ დახშული აქვთ გრძნობა სასიამოვნო გართობისა, სულისა და გულის ერთნაირად მარგებელისა, ერთ ნაირად დამატკბობელისა, ერთ-ნაირად აღმზრდელისა და წარმართველისა!.. ნუ თუ ჩვენი საზოგადოება იმის წყურვილს მოკლებულია, რომ კვირაში ერთხელ თუ ორჯელ მაინც ერთს საჯარო ადგილას თავისი თავი ჰნახოს, ერთი-ორიოდ საათი მართალს ადამიანურს სიამოვნებას მიეცეს და ცხოვრების საყოველდღეო ჭუჭყს და ვალალებას ცოტას ხნობით მაინც თვალი მოაშოროს!... არა გვგონია, რომ ეს მართებული გრძნობა, რომლითაც ადამიანი პირუტყვთაგან განირჩევა, რომლითაც ადამიანი მართლა ადამიანობს, ჩვენს გულშიაც ისე არ იყოს ბუნებისაგანვე ჩანერგილი და თან დაყოლილი, როგორც სხვისაში. თქმა არ უნდა, რომ მეტ-ნაკლებობა ამა გრძნობისა დამოკიდებულია განათლებაზე, გონების გახსნილობაზე, და სულის და გულის რიგიანად, ადამიანურად გაწრთვნილობაზე, ხოლო ხელ-აღებით უარ-ყოფა მისი, ხელ-აღებით თქმა, რომ ადამიანს ეს გრძნობა, ცოტად თუ ბევრად, არა აქვსო, მეტის-მეტი აშკარა

ფელეტონი

უცხოთა შორის

აწმყო და წარსული ისპანიისა.—კეთილშობილი გიდალგო.—წარსულის დიდების მოწამე.—ფრა-ბართოლომეო და მისი ანდერძი.—ძველი სიმღერა.—გუდალახარელი გლეხი.—გუდალახარელის ამპარტავნობა და თავ-მომწონეობა.—გუდალახარელი გლეხი დონ-ალონზო, მეფე ალფონსი XII და მათი ერთმანერთთან შეხვედრა.—ისპანიის დედოფლად ნამყოფი იზაბელა გუდალახრელების სოფელში.—როგორ მოეწონა გუდალახარელს გლეხს დედოფალი იზაბელა.—გუდალახრელის გლეხის და პეტრე მოციქულის ამბავი.

ძნელია, როდესაც კაცი აწმყოში ვერასა ჰხედავს, მერმისს ეჭვის თვალით უყურებს, მომავალ დროთა წყვდიადში გზას ვერ იკვლევს და სასოწარკვეთილი პირს უკან იბრუნებს, წარსულს უმტერებს თვალსა, იგონებს წარსულს დიდებას და ამ წარსულში ეძებს ნუგეშსა და იმედსა.

ამას ვამბობთ ჩვენ აწინდელ ისპანიაზე, იმ ისპანიაზე, რომელსაც წარსულში დიდი სახელი და დიდება ჰქონდა მოპოვებული. დღეს?.. წარვიდნენ, გაჰქრნენ ნეტარნი დრონი... დღეს მხოლოდ მდიდარნი სასახლენი, ძეგლნი და მატურები სასაფლაოზე დგანან მოწმად წარსულ დიდებისად. ამითი მოაქვს დღეს თავი ამაყს, კეთილშობილს ისპანიელს. ყველა ესპანიელი თავის თავს კეთილშობილად სთვლის და გიდალგოს უწოდებს. კეთილშობილი გიდალგო ქუჩაში ისე არ გამოვა, თუ არ თოფ-იარაღში ჩამჯდარი; გაბღინძული, თავ-მომწონედ დაიარება ქუჩაში და, რასაკვირველია, როგორც კეთილ-შობილს გიდალგოს შეჰფერის, უმეტესს ნაწილად თავის სიცოცხლეს უსაქმოდ ატარებს. არ გაჰბედოთ და საქმეზე ლაპარაკი არ ჩამოუგდოთ,—მოსისხლე მტრად გადაგეკიდებათ, საქმე, გარჯა უკადრისობად მიაჩნია და მის კეთილშობილებას, ღირსებას ამცირებს.

⁂

არ გეგონოთ კი, რომ კეთილშობილს გიდალგოს ლაპარაკი არ უყვარდეს. არა, უყვარს, ხოლო ამისთანა სათაკილო საგნებზე კი არა. პირველ გაცნობაზედვე კეთილშობილი ისპანიელი ასე დაგიწყებთ ლაპარაკს:

— როგორ მოგწონთ ჩვენი ქვეყანა, ქალაქი? განა რომ მშვენიერია? ო, უწინ რომ გენახათ, უფრო დიდებული და მშვენიერი იყო.

— მრწამს, მჯერა და ვიცი,—უპასუხებთ თქვენ, რომ სახელოვანი იყო თქვენი წარსული, განთქმულნი და დიდებულნი იყვნენ თქვენი წინაპარნი,—აი ეს მდიდარი ნაშთი უენო, უტყვი მოწამეა თქვენის წარსულისა,—მაგრამ სად გაჰქრა ყველა ეს, სად არიან იმ დიდებულთა წინაპართა მემკვიდრენი, რატომ შვილებს წინაპართა მაღალი სული არ უდგათ?

— არა, მაგას ნუ იტყვით,—დღესაც მოიპოვებოდნენ წინაპართა ღირსეულნი ისპანიელნი, მაგრამ უკეთესნი გვარეულობის შვილნი დაიხოცნენ, დანარჩენნი თითონ გადგნენ შორს, განცალკევებულნი სცხოვრობენ თავისთვის, მიყრუებულად... აი თუ გინდ მე: სახელოვანის გვარეულობის შთამომავალი ვარ, ჩემი ერთი წინაპარი ჰერცოგი იყო. მე სრული უფლება მაქვს, დღეს ისევ დავიბრუნო ეს სახელი, მაგრამ არა ღირს. მე თვითონ მოვშორდი ყველაფერს, საქმეებში არ ვერევი, ვცხოვრობ ჩემთვის მოსვენებულად ჩემს მამულში. მე ცოლსაც არ ვირთამ, და განგებაც არ ვირთამ: არა, ასე სახელოვანად სიკვდილი სჯობს, ვიდრე ჩემმა შვილებმა სიღარიბეში იცხოვრონ და თავიანთ გვარეულობის დიდებული სახელი სასაცილოდ გახადონ... ცხოვრება არ გველოდება ჩვენ, ცხოვრება თავის გზას ადგა და ვაი იმას, ვინც ცხოვრებას უკან ჩამოჰრჩება, ძნელი-ღაა მერე დეეწიოს... მაგრამ კმარა... შესწყვეტს ერთბაშად ამაყი გიდალგო თავის ლაპარაკს, თითქოს თითონვე ეწყინა, რომ თავი დაიმდაბლა და დღევანდელს სატკივარზე ხმა ამოიღო.

⁂

— აი ჰხედავთ იმ მშვენიერს, თალით შეკრულს შენობას, კოხტა მარმარილოს სვეტებზე რომ სდგას? გკითხებათ თქვენი მოსაუბრე ისპანიელი.

ო, შესანიშნავია ეს შენობა: იქ ტრიალებს მაღალი სული ფრა-ბართოლომეოსი, იმ ბართოლომეოსი, რომელიც ბერებმა ამ რამდენისამე საუკუნის წინად შეუბრალებლად ცეცხლში დასწვეს. ეს ის ბართოლომეო იყო, რომელსაც მამულისთვის გული შესტკიოდა, რომელიც ისპანიას ასეთს მწარე სიტყვებს ეუბნებოდა:

— ვაი შენ, ისპანიავ: დიდი განსაცდელი მოგელის... დიდი ხანია გარჩობს, სულს გიხუთავს ბოლი იმ ცეცხლისა, რომელიც მთელს ისპანიას მოსდებია, ამ ცეცხლის ალი, სიცხოველე ამოაშრობს შენს ტვინსა, ამოსწავს შენს ნიჭსა, როგორც ფერფლი, ისე გაიფანტებიან შენი შვილები და ველარ მოესწრებიან, ველარ ჰნახავენ თავის სამშობლოს დიდებას.

ამას ჰქადაგებდა ბართოლომეო მაშინ, როდესაც ცეცხლში დასაწვავად მიჰყვანდათ.

— გახსოვდეთ ძმანო, მცნება სიყვარულისა და მოწყალებისა!.. ღმერთმა ჰქმნას, რომ მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი უმეცრებისა და ბოროტებისა... ეს არის ჩემი უკანასკნელი ანდერძი.

ამ სიტყვებით გამოესალმა ფრა-ბართოლომეო ხალხს, როდესაც ცეცხლში ჩადგა.

⁂

კეთილშობილი გიდალგო არ დაგაცდით, რომ ჰკითხოთ: „მერე აასრულეთ ეს ანდერძი?“ იმას თავ-მოყვარეობა ნებას არ აძლევს დღევანდელ ნაკლულოვანებაზე ბაასი დაგიწყოთ და აი ამიტომ ლაპარაკს მაშინვე სხვა საგანზე გადუხვევს:

ტყუილი იქმნება და არ-მისატევებელი შეცდომა.

მაშ რა აბრკოლებს ჩვენს საზოგადოებას? უფულობა? ამას ცოტა ოდენი საბუთი აქვს და ამიტომაც გვინდა ჩვენის დრამატიულის საზოგადოების ყურადღება ამ საგანზედ მივაქციოთ. თეატრში შესასვლელი ფასი, ჩვენის ფიქრით, დიდია. ჩვენი ჯიბე გაუჭირებლად ვერ გაუძლვება მაგოდენა სათასურსა. თეატრში მოსიარულე საზოგადოება იმოდენად პატარაა ჯერ ხანად მაინც, რომ ძნელად საფიქრებელია ამ პატარა წრემ შეინახოს თეატრი. დღეს თეატრში თითქმის ერთი და იგივე ხალხი დადის და მაშასადამე თეატრის შესანახავი ხარჯი მთელის თავის სიმძიმით ამ პატარა წრეს აწევს ტვირთად და ეს ტვირთი ძნელი გასაძლოლია ერთისა და იმავე ჯიბისათვის. ფასებს დაკლება უნდა. ამ გზით საიმედოა, რომ თეატრში მოსიარულე ხალხი იმატებს და ვინც შეუძლებლობის გამო დრო გამოშვებით დაიარება დღეს, იმას გაუადვილდება ეს ერთად-ერთი საჯარო ადამიანური სიამოვნება ჩვენში უფრო ხშირად იგემოს. ჩვენა გვგონია, რომ უფრო ბევრი შემოსავალი ექნება დრამატიულ საზოგადოებას, თუ ლოჟებს, სელებს და სკამებს ფასები დაუკლო ერთის მეოთხედის ოდენად. ლოჟები, მაგალითებრ, ოთხ-მანათად გაჰხადოს, დახურულ და განაპირა ლოჟებს გარდა, პირველის რიგის სელები, ანუ სავარძლები ორ-ორ მანათად, მეორისა და მესამისა—მანათ-ნახევრად, მეოთხისა და მეხუთისა — მანათად, სკამები ნახევარი, სახელდობრ, წინა რიგებისა—თხუთმეტ შაურად და დანარჩენები—ათ შაურად. ამ სახით, თუ არა ვცდებით, სავსე თეატრის შემოსავალი ოც-და-ათს თუმანს დაიჭერს. მართალია, ეხლანდელის ფასების მიხედვით, სავსე თეატრის შემოსავალი ორმოც-და ორ თუმანს იჭერს, მაგრამ ეგ შემოსავალი ყინულზე დაწერილია; თუმცა სასურველია, მაგრამ ტყუილი იმედია. უფრო საიმედოა ცოტ-ცოტაობით მრავალთაგან უფრო რიგიანი ჯამი დადგეს, ვიდრე თითო-ოროლისაგან ბევრ-ბევრობით. დამტკიცება არა საჭირია, რომ როცა რაშიმე გამოსაყენი საგანი იეფია, უფრო ბევრს მუშტარს მიიზიდავს და ათისაგან თითო გროში აღებული უფრო მეტს ჯამს დაიჭერს, ვიდრე ერთისაგან მთელი ხუთი გროში. რასაკვირველია, ეს ანგარიში თავს არ დაიჭერდა, თუ რომ იმედი იქნება თეატრი ყოველთვის სავსე იყოს. როდესაც ეს ასე არ არის და დღევანდელი შემოსავალი თეატრისა ძნელად თუ თორმეტს ხუთმეტს თუმანს გადაემეტება ხოლმე, მაშინ რომ თეატრის შემოსავალი სათუო ორმოც-და ორ თუმნიდამ უფრო საიმედო ოც-და-ათს თუმანზე ჩამოახდინონ,—მოგება იქნება და არა ზარალი. თუნდაც ფასების დაკლებამ ეხლანდელს ნამდვილს შემოსავალს არც კი გადააჭარბოს და იმოდენა ჯამი დააყენოს, რაც ეხლაა დიდის ფასების დროს, ხალხის, იეფობის გამო, სიმრავლე გულს მაინც გაუკეთებს როგორც მოთამაშეებს, ისეც თვით მაყურებლებსაც. ამისთანა გარემოებასაც თავისი სიკეთე მოაქვს თეატრის საქმეში. იქნება ამ ჩვენმა რჩევამ თავი არ დაიჭიროს, თუ კაცი ყოველს წვლილს ამ საქმისას სახეში იქონიებს. რა თქმა უნდა, ამ მხრით დრამატიული საზოგადოება ბევრით ჩვენზედ წინ არის, რადგანაც საქმეს იგი შიგ სათავეში უდგა და მაშასადამე, ყოველ მხრივად და დაწვრილებით ჩვენზედ უკედ იცნობს. ჩვენ მის გამოცდილებას და საბუთიანობას უფრო ვენდობით, ვიდრე ჩვენს ზემოხსენებულს ანგარიშსა, მხოლოდ სასურველი კია,— როგორც ამას წინადაც ვსთქვით,— რომ ჩვენის თეატრის საქმე ამ მხრითაც აწონვილ-დაწონვილ იქმნას და გამორკვეულ.

ახალი ამბავი

⁂ თითქმის ერთი თთვეაო მას აქედ, გვწერენ ჩვენ შორაპნის მაზრიდამ, რაც აქ ერთის ვითომ სადაო მამულის გამო დიდი ჩხუბი და ვაივაგლახი მოხდა და კინალამ უბედურებაც არ დატრიალდაო. საქმე იმაშია, რომ იმ ვითომ და სადავო მამულში, რომელიც კანონიერად აქვს ჩაბარებული პატრონს, შავი-ქვის მადანია. ტყუილი მოდავე და მისი ვექილი ბევრს ეცადნენ, რომ საქმე მოეგოთ და შემოსავლიანი მამული ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ კანონმა არ შეიწყნარა მათი საბუთები და აი როცა ესენი სამართლით ვერას გახდნენ, ძალით მოინდომეს თავისი გაეყვანათ. ენკენისთვის გასულს მიუხტნენ მოდავე და მისი ვექილი შეიარაღებულნი თვითონაც და 30-მდე მათი მხლებელი ოსებიც და დაესხნენ თავს შავ-ქვიანის მამულის პატრონს. ასტყდა თოფისა და დამბაჩების სროლა. უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ მოდავეს ვექილს-კი ბევრი ჯოხი და შავი-ქვის გუნდა მოხვდაო. გამოძიება ამ საქმის გამო მესამე დღესვე გათავდა და ზემოხსენებულიდამ, ცხადია, ვინც გამტყუნდებოდა, მიმხტომნი თუ დამხვდურნიო.

⁂ პურის ფასი, როგორც ეტყობა, თან-და-თან უფრო აიწევს. ამ ჟამად, როგორც ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე, ტფილისი სავსეა სხვა-და-სხვა, უფრო სამზღვარ გარეთის კამპანიების პურის მსყიდველებითაო. ეს მსყიდველები ჰყიდულობენ ქალაქში პურს და რკინის გზით ჰგზავნიან ბათუმში და იქიდამ კიდევ სამზღვარგარედ გააქვთო. ბათუმიდამ მოსული ვაჭრები ქ. განჯისკენაც თურმე ჰყიდულობენ დიდ ძალს პურსა.

გლეხები აღარა ჰყიდიან ამ ვაჭრებს თავიანთ პურსა, რადგანაც ეშინიანთ, ეაი თუ მერე გაძვირდეს და თვითონ ჩვენვე მოგვიხდეს ყიდვა პურისა უფრო ძვირადაო.

პურის მსყიდველები სპარსეთშიაცა ყოფილან, მაგრამ იქ სყიდვით ვერაფერი ვერ უყიდნიათ, რადგან სპარსეთის მთავრობას აღუკრძალავს პურისა და ქერის გატანა სამზღვარგარედაო.

⁂ ვერაფერი საქმე მოუვიდა წელს მომეტებულს ნაწილს ჩვენის მემამულეებისას. ვისაც შარშანდელი ძველი ღვინო ჰქონდა, აიღო და იაფ ფასად გაჰყიდა, იმ იმედით, რომ ახალი მოსავალი მოვა და იოლად წავალო და ფულს-კი ფულად გამოვიყენებ ოჯახშიო. მაგრამ, როგორც ვიცით, მოსავალი ღვინისა თითქმის ყველგან მოსცდა, რთვილმა და სიცივეებმა გააფუჭა ვენახები, რაც ღვინო მოგროვდა, ისიც მდარე გამოდგა. ამ მიზეზების გამო ღვინის ფასმა ძალიან აიწია. ზოგმა სწორედ მაშინ გაჰყიდა ძველი ღვინო იაფ-ფასად, როცა ღვინის მოსავალს კარგი პირი უჩანდა და რთვილის შიში არა ჰქონდა. როცა ძველისა და კარგის ღვინის გასყიდვის შემდეგ, სიცივეები დაიჭირა, ზედიზედ რთვილი გაავდო და ვენახები სრულიად ამოაგდო, მაშინ შემოიკრეს თავში ხელები, რა მოგვივიდა, რაზედ დავღუპეთ ჩვენი თავიო, მაგრამ გვიან-ღა იყო. ქართლში, ზოგმა მემამულემ ასი კოკა და კიდევ მეტი საუკეთესო ძველი ღვინო 8 მანათად გაჰყიდა რთვილების წინად, ისეთი ღვინო, რომელშიაც რთვილების შემდეგ 13 და 15 მანათს იძლევოდნენ ვაჭრები. მაგრამ ან კი რა უნდა ექმნათ მემამულეთაც: როცა ფული საჭიროა, დიდხანს ცდა მუშტრისა შეუძლებელი-ღაა და ძალაუნებურად ნახევარ ფასად აძლევენ თავიანთ ნაჭირნახულევს.

კარგი იქნება, რომ პურის გასყიდვაშიაც ისეთი საქმე არ მოუვიდეთ ჩვენს მემამულეებს, როგორიც ღვინის გასყიდვის გამო მოუვიდათ. ისევ ისა სჯობიან, გაჭირვება მოითმინოს კაცმა, ვიდრე [illegible] და უმუშტრობის დროს ჩალის ფასად გადაჰყაროს თავისი სიმდიდრე.

⁂ საფრანგეთის მოქალაქეს ჟულ მურიეს ნება მ·სვლია მთავრობისაგან, რომ ჰბეჭდოს ტფილისში თავის რედაქტორობით რუსულ-ფრანგული ჟურნალი შემდეგის სახელ-წოდებით: ‹კავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობის მიმოხილვა› — „Revue commerciale et industrielle du Caucase.“

⁂ გაზ. „კასპი“ ამბობს, რომ ამ დღეებში ბაქოზე გზად გაივლის და თეირანს წავა ინგლისის პოლკოვნიკი ნიდგამიო.

⁂ ტფილისის ფოსტის გამგეობისაგან შემდეგი საინტერესო ცნობანი შეუტყვია გაზ. „კავკაზს“ იმის თაობაზედ, თუ რა და რა და რამდენი გაზეთი და ჟურნალი მოდის ტფილისს: „Новости“—136 ცალი, „Новое Время“—121, ‹Москов. Вѣд.› და ‹Свѣтъ›—52, „Рус. Вѣд.“—32, „Каспій“—34, „Рус. Курьеръ“—27 და მრავალი კიდევ სხვა ყოველ-დღიური გაზეთები.

საკვირაო გაზეთებში უფრო მეტი მოდის თურმე „Нива“—682 ცალი, ‹Живоп. Обоз.›-ე—137, ‹Мод. Свѣт.›—131, „Задушевное слово“ — 128, ‹Радуга› — 105, „Новь“—101, „Вокругъ Свѣта“—91, ‹Илюст. Міръ›—85, „Недѣля“—76, და სხვანი.

თვიურ ჟურნალებში ყველაზედ მეტი მოდის თურმე „Вѣст. Европы“—88 ცალი „Русская Мысль“—74 და ‹Дѣло›—71.

სულ მოდის ტფილისში ოფიციალური ჟურნალ-გაზეთები 454 ცალი, სამეცნიერო და სპეციალური 455, ყოველ-დღიური 684, საკვირაო 2011, ყოველ-დღიური ჟურნალები 574, პოლშურ ენაზე 95, სულ 4273. უცხოეთის გაზეთებიც რომ დავუმატოთ, გამოვა 4400. თუ ვიანგარიშებთ, რომ ტფილისში სულ 110,000 მცხოვრებელია და თვით აქაურს გა-

---

— გესმით, აი გულის საკლავი სიმღერის ხმა რომ მოისმის? ო, ეს მშვენიერი ძველის დროის სიმღერაა. ეს სიმღერაც ჩვენის წარსულის დიდების მოწამეა:

‹ო, დონ-ჰუანო, სად მიგვეფარე, რად დაგვანებე თავი, რად წაგვიხვედ შორს, შორს... მოჰხედე შენს მშვენიერს ქვეყანას: მზე ისევ ისე ბრწყინავს, ანათებს შენს კოშკებსა, მდინარე ისევ ჩამოუდის და ალერსით გარშემო უვლის შენს ციხე-გალავანსა... ქარი ზუზუნებს და დარბის შენის სასახლის აოხრებულს დარბაზებში და თითქოს გამწვავებული შენ დაგეძებს...

„ო, დონ-ჰუანო, რად წაგვიხვედი შორს, შორს... დიდი ხანია დაგივიწყეს შენ შენმა მეგობრებმა და ერთგულმა მსახურებმა, მაგრამ არც ერთის გულში შენს ბრწყინვალე სახეს ცუდი კვალი არ დაუჩნევია... შენ გაიკრიალე ცის კამარაზე, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავმა და ვარსკვლავისავითვე გაჰქერ... სად კრიალებს ეხლა შენი მახვილი, სად ბრჭყვინავს ეხლა შენი ოქროს ფარი.

„ო, დონ-ჰუანო, დიდი ხანია შენმა მეგობრებმა დაგივიწყეს..

„მაშ მე რაღათ ვსტირი, რატომ თვალში ცრემლი არ მიშრება. ღამობით, როდესაც ძილი გამიკრთება ხოლმე, მაშინვე თვალ-წინ წარმომიდგება შენი ამაყი, მხიარული სახე და ტკბილად მიცინის... როდესაც ცხენს მოახტი და გზად ემზადებოდი, რად მითხარ: მშვიდობით, ტურფაო! შენი სიტყვები, შენი ტკბილი ხმა შხამივით ჩამეწვეთა გულში.. და აი დღეს შენი ტურფა დაბერდა, დაუძლურდა; გული ჩამოადნა და ჩამოახმა, იმიტომ რომ გულში არავინ ჩაჰკვრია, ბაგენი ჩამოუჭკნდა, იმიტომ-რომ ტკბილის ალერსით არავინ არ შეჰხებია... ჩემი გული დღეს სამარედ არის გარდაქცეული და მხოლოდ შენ, კეთილშობილო გმირო, შენა ხარ შიგ ჩამარხული. ჩემს თვალებში ცრემლი არ შეწყვეტილა და მუდმივ ჰნამავს ამ სამარესა›...

⁂

ამას გალობენ დღეს ისპანიელები და ამით იგონებენ თავიანთ წარსულს... სულ წარსული, წარსული და წარსული! წარსულით ინუგეშებენ თავს, წარსულის დიდებით მოაქვთ დღეს თავი ისპანიელებს. ამითი მოსწონთ თავი, ეს არის მათი სიამაყე.

და აი ამ სახელოვანის წარსულიდამ კეთილშობილს ისპანიელს დღეს მხოლოდ ამპარტავნობა, სიამაყე-ღა შერჩენია.

მეტადრე გუდალახრელები არიან საშინლად ამაყნი და თავ-მომწონენი. გუდალახარი ისპანიის ერთი მხარეა, სადაც გლეხები უფრო მიწის მუშაობას მისდევენ. გუდალახარელს გაგიჟებით უყვარს თავისი მიწა-წყალი, მამული, სოფლის ცხოვრება და არას გზით არ გასცვლის სოფლის ცხოვრებას ქალაქისაზე. ხშირად მომხდარა, რომ გუდალახარელის გლეხის შვილს უნივერსიტეტში სწავლა გაეთავებინოს და ისევ მამის გუთანს, სოფლის ცხოვრებას დაჰბრუნებოდეს.

წარსულში გუდალახრელებს დიდი სახელი ჰქონდათ განთქმული მთელს ისპანიაში, როგორც პატიოსანს, მტკიცე სიტყვის ხალხსა. გუდალახრელებზე უწინ ამბობდნენ ხოლმე: „იუპიტერი გადავა თავის სიტყვასა, და გუდალახარელი კი არასოდესაო“. „იუპიტერის სიტყვას ნუ ენდობი და გუდალახრელისას კი ენდეო.“ დღეს მთელმა ისპანიამ ფერი იცვალა და გუდალახრელებიც სხვებს უკან არ ჩამოჰრჩნენ. გუდალახარელი დღეს პირ-ღია არ დაიწყებს ყურებას, რომ პირიდამ ლუკმა გამოაცალონ; გუდალახარელმაც ჭკუა ისწავლა; გუდალახარელი დროების მიმდინარეობას მისდევს და მარტო მიწის მუშაობას აღარა ჰკმარობს, ახლა ვაჭრობისთვისაც მიუყვია ხელი და ვაჭრობაში, ე. ი. მოტყუებაში დიდი ნიჭიც გამოუჩენია თურმე.

ამიტომაც დღეს გუდალახრელებზე სულ სხვას ამბობენ: „ერთი გუდალახრელი ხუთს ურიას გაჰყიდას და მოატყუებსო;“ „გუშინდელს ქარს მეტი დეეჯერება, ვიდრე გუდალახარელსაო.“

⁂

გუდალახარელს ყველა ღირსება, რომლითაც წარსულში სახელი და პატივი ჰქონდა, დაუკარგავს და დღეს მხოლოდ სიამაყე, ამპარტავნობა-ღა შეჰრჩენია. ყველა გუდალახრელი თავის-თავს აზნაურადა სთვლის. ‹მე კეთილშობილი, გიდალგო ვარო›, ამაყად ამბობს ყველასთან გუდალახრელი. როგორც ზემოდა ვსთქვით, გუდალახრელი იშვიათად ჩამოდის ქალაქში და თუ ჩამოვიდა, უთუოდ გამოწკიპული თავით-ფეხამდე და თოფიარაღში ჩამჯდარი. გუდალახრელი თავ-მომწონედ დადის ქუჩაში და თავის სწორად აღარავინ მიაჩნია. მაგალითად, ისპანიის სატახტო ქალაქში, მადრიდში ხშირად მოხდება ხოლმე ასეთი ამბავი:

გუდალახრელი გიდალგო-გლეხი თავ-მომწონედ დადის მადრიდის ქუჩებში და ჰხედავს, რომ ქუჩაშივე ისპანიის ხელმწიფე მოდის. გუდალახარელი პირ-და-პირ მიდის ხელმწიფესთან, პირველი თითონვე ხელს ართმევს და მასლაათს უმართავს. გუდალახარელი ელაპარაკება ქუჩაში ხელმწიფეს, როგორც სწორი—სწორსა, და ეს არავის აოცებს, მადრიდში ამას ყველა მიჩვეულია, ეს იშვიათი ამბავი არ არის.

⁂

მეორე ამბავი, რომელიც თითქმის მთელმა მადრიდმა იცის, უფრო საკვირველია. მთავარი დასეირნობდა ქუჩაში და წვიმამ მოასწრო. მთავარი კედელ-კედელ მიდიოდა, რომ წვიმას ძალიან არ დაესველებინა. ამავე ქუჩაზე და ამავე დროს მოდიოდა გუდალახარელი გლეხი და ალფონსს თითქმის ზედ შაეჯახა. შედგნენ ორივენი და ადგილიდამ ფეხს არ იცვლიან.

— ჩამოეცალე გზიდამ!—დაუყვირა მთავარის თანამხლებელმა, რომელიც მთავარს ზურგს უკან ედგა.

— მე გზას მხოლოდ ყმაწვილებს, დედა-კაცს, მოხუცს და ჩვენის სოფლის მღვდელს დავუთმობ ხოლმეო,

ზეთებს სახეში არ მიეიღებთ, ყოველ 25 კაცზედ ერთი გაზეთი, ან ჟურნალი მოვაო.

⁂ თათრულ გაზ. „ქეშკულ“-ის რედაქტორს ჯალალ-ეფენდის დაუბეჭდია ამ დღეებში რუსულ-ოსმალური და თათრული ლექსიკონი. („ნოვ. ობოზ“).

⁂ დამდეგს ნოემბრიდამ, როგორც აცხადებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა, შეიცვლება რკინის-გზის მატარებლის მიმოსვლა ბათუმსა და ბაქოს შუა. ჩვენ ვეცდებით ამ მოკლე ხანში გამოვაცხადოთ ჩვენს გაზეთში, როგორც შეიცვლება ეს მიმოსვლა.

⁂ ერთის ტფილისის გაზეთის სიტყვით, სტამბოლელ არტისტებს, რომელნიც სომხურმა დრამატიულმა კამიტეტმა დაიბარა ტფილისს წარმოდგენებისთვის, უარი უთქვამთ ტფილისში ჩამოსვლაზე.

⁂ 16 ოქტომბერს, მე-3 ნაწილში, სამსახურ გარეშე მყოფს მოხელეს ვლადიმერ პეტრეს ძე გრიგორიევს მოუპარავს ილია ბოგდარევისაგან ერთი 11 მანათად ღირებული სამოვარი. დამნაშავე დატუსალებულია და გამოძიება სწარმოებს.

⁂ 16 ოქტომბერს, მე-8 ნაწილში, ვილაც არსენი ხითაროვი პოლიციელს თომა იუდინს გაუფრთხილებია, რომ შარდისთვის ცოტა იქით მიდექი, ტროტუარზედ ხალხი დადის, სირცხვილიაო. ხითაროვს სწყენია პოლიციელის სიტყვები და დაუწყვია ჯოხით ცემა; იუდინს, თავის დაცვის დროს, ხითაროვისთვის ხმლის ყუა დაურტყავს თავში და ცოტათი დაუჭრია. დაშავებულს სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 15 ოქტომბერს, მე-5 ნაწილში, შადინოვის ქარვასლაში ელისავეტპოლის გუბერნიის, ზანგაზურის მაზრის, სოფ. მეგრის მცხოვრებელი, სტეფანე ტერაცუციანცი, ჭკუითგან შეშლის დროს, ფანჯრითგან გადავარდა და მტკვარში თავი დაირჩო დამრჩვალის გვამი ვერ უპოვნიათ.

დამაკვირდი!

ვისაც თავის დღეში არავინ არ გაუუბედურებია, იმას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ თვითონაც თავის დღეში უბედური არ იქმნება. (ბუასტ.)

**

ჩვენ გვიყვარს სხვის გულში ჩავიხედოთ და გვეჯავრება, როცა კი ჩვენს გულში იხედებიან.

**

თუ მადლს იქმ და გაამჟღავნებ, სჩანს ნაქმარს მადლს უკანვე თხოულობ. (სირახ)

**

ყოველი წული მშობელთა
მგზავსი მგზავსს ემგზავსებიან
(დ. გურამიშვილი)

**

ძნელია პოვნა კაცისა
ღვთივ ზეცით განაწარისა. (შ. რუსთაველი)

**

ბედი მას ჰქვიან, რომ კართა
მოადგეს დაუშრომელად,
თვარა მრავლის ცდით ნაშოვნსა
რაღა უწოდო რომელად?! (მეფე ვახტანგ VI)

**

თუ მეჭურჭლესა ჭურჭელი
ვერ ეტყვის, ავად შემქენო,
კაცმან ვით ჰკადროს შემოქმედს,
ესე რად ესრედ მიქმენო. (არჩილ მეფე)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

თუმცა ბოლგარიის აწეწილი საქმეები თან-და-თან უფრო იწეწება და ივანძება, მაგრამ ოფიციალური «Journal de St.-Pèterbourg»-ი და ზოგიერთი სხვა გაზეთებიც გვარწმუნებენ, რომ ბოლგარიაში საქმე მშვიდობიანად გათავდებაო.

გაზეთი „Современныя Извѣстія“ ვერ მიმხვდარა ამ გაზეთების აზრსა და ამბობს:

> მაინც ხომ როგორმე უნდა მოელოს ბოლო დღევანდელ მდგომარეობას ბოლგარიაში; მაინც ხომ უნდა დაიდოს რაიმე სამზღვარი, რომლის გადასვლა ბოლგარიის მთავრობას აღარ შეეძლოს, ადრე თუ გვიან ხომ დადგება დრო, როდესაც ვეტყვით ბოლგარიის მართველებს: „კმარა, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლიანო.“

წინად ამბობდნენ, რომ ამ საქმეს სამზღვარი მაშინ დაედება, როცა არჩევანები დაიწყებაო; „საქმე მშვიდობიანად გათავდებაო, ბოლგარიის მართველები ყველაფერში პასუხის მგებელნი იქნებიანო.“

> ასე ხშირად ემუქრება ბარონი კაულბარსი სარეგენტო მთავრობასაო!—ამბობს გაზეთი. როდის გათავდება ეს სიტყვით მუქარა, საქმით როდის მოელება ბოლო ბოლგარიის მართველების უწესოებას? კარგი იქნებოდა, რომ საზოგადოებას თუ არა, თვით რეგენტებს მაინც სცოდნოდათ, რა პასუხის გება და სასჯელი მოელით, გარდა იმისა, რომ თავიანთ ადგილებს დაჰკარგვენ, იმ ადგილებს, რომელზედაც დღესაც მაგრა ვერა სხედან და ეს თვით რეგენტებმაც კარგად იციან...

⁂

გაზეთი «Московскія Вѣдомости», რომელიც დღეს ასე მკაცრად ეკიდება ახალს სამართალს, დაუცხრომელად ქადაგობს ახალის სამართლის წესდებულების დარღვევას, ძირეულად შეცვლას, ვიმეორებთ, ის გაზეთი ამავე სამართალზე, რომელიც დღეს ასე აუთვალწუნებია, რომ ცუდის და ბოროტის მეტს ვერასა ჰხედავს,—აი რას ამბობდა თურმე 1866 წელსა, როგორც გვარწმუნებს გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი.

> ახალსა და ძველს სასამართლოს შორის ის განსხვავებაა, რომ ძველი სამართალი ხალხს ჰრყვნიდა, ახალი კი ჰზრდის კაცსა და ასწორებს მის ზნე-ყოფა ქცევასა. კაცები ჩვენ ჯერ ცოტა გვყავს და ამიტომ ვინცა გვყავს, უნდა ვუფთხილდეთ, ხოლო, მეორეს მხრივ, დიდი დაწესებულება იმითი არის დიდი და სანუკველი, რომ ამზადებს, შეჰქმნის ხოლმე კაცებს, რომელთაც შეეძლებათ ცხოვრებაში გაატარონ, განახორციელონ ახლად შემოტანილი აზრები.

ასე სჯიდა და ლაპარაკობდა გაზეთი ამ ოცის წლის წინად, ის გაზეთი, რომელიც დღეს სულ წინაალმდეგსა ჰფიქრობს...

ნაცარი

(oidium Tuckeri).

ეს ვაზის ავად-მყოფობა პირველად აღმოაჩინა 1845 წელსა ერთმა ინგლისელმა მებაღემ, სახელდობრ ტუკერ (Tucker), ერთ’ ორანჟერეიაში (serre). 1847 წ. ბოტანიკმა ბერკელეიმ აღწერა ეს ავად-მყოფობა, მიაწერა oidium-ის *) გვარს და უწოდა სახელად oidium Tuckeri. თითქმის ამავე დროს, ე. ი. 1847 წ. გაჩნდა ნაცარი საფრანგეთშიაც, პარიჟის ახლომახლოს. 1851 წ. ნაცარი მოეფინა თითქმის მთელ საფრანგეთის ვაზებს და მოედო აგრეთვე ისპანიის, იტალიის, საბერძნეთის, სირიის, შვეიცარიის, მცირე აზიის და ალჟირის ვაზებსა. 1846, ე. ი. მეორე წელსვე, ავად-მყოფობის აღმოჩენის შემდეგ, პირველად იხმარეს წამლად ნაცრის წინაამდეგ გოგირდი. გოგირდი წამლად პირველად იხმარა ინგლისელმა მებაღემ კილმა (Kyle). 1854---1862 წწ. გოგირდის ხმარება შემოღებულ იქმნა საყოველთაოდ და ნაცარი აფუჭებდა მხოლოდ იმ ვაზებს, რომელსაც გოგირდი არა ჰქონდა მოყრილი.

ნაცარი ერთობ ობსა ჰგავს: პირველად თეთრია და შემდეგ ნაცრის ფერს მიიღებს ხოლმე (terne); დასაწყისში ნაცარი თხელია და ბადესავით ეფინება ვაზის ყოველ მწვანე **) ნაწილს: ტოტს, ფოთოლს და მარცვალს.

ტოტზე ნაცარი აქა-იქ გაჩნდება ხოლმე, თეთრია და ძნელად შესამჩნევია უბრალო თვალით. შემდეგ თან-და-თან მატულობს და ბოლოს ერთიანად მოეფინება ხოლმე ტოტსა, უფრო იმ მხარეს, რომელიც მზისკენ არის. როდესაც ნაცარი ბლომად მოედება ახალ გამოსულ ტოტებს, ტოტი გაშავდება ხოლმე, ვეღარ იზრდება და ალაგ-ალაგ კიდეც ხმება. კარგად დასრულებულ ტოტზე ნაცარი ისე ვეღარ მოქმედობს, როგორც ახალ გამოსულზე, რადგან ახალი გამოსული ტოტი ნორჩის და ნაზის კანით არის შემოსილი, სავსეა ნოყიერის ნაწილებით, და ამიტომ უფრო ადვილად ითვისებს ნაცარს. ძველს, დაბერებულ ტოტს ნაცარი სრულიად არ უდგება.

ფოთოლს ნაცარი უფრო ძრიელ ეკიდება, ვიდრე ტოტს. დასრულებულ ფოთოლს შეიძლება ისე მოეკიდოს ნაცარი, როგორც ახალ გამოსულს. ნაცარი ედება ფოთლის ორივე მხარეს ალაგ თეთრად, ალაგ ნაცრის ფრად: პირველი ნიშნავს ავად-მყოფობას ახლად გაჩენილს, მეორეკი უფრო ხანში შესულს. ახალი გამოსული ფოთლები ტოტის ბოლოებში მოიხრუკება ხოლმე და ჩამოეშვება. ავად-მყოფი ფოთოლი ისე ვეღარ იკვებება, როგორც სალი და ამიტომ მტევანიც სუსტდება, რადგან ფოთოლი შეადგენს ერთს უმთავრესს ნაწილს, რომლის შემწეობითაც იკვებება საზოგადოდ ყოველივე მცენარე.

ნაცარი უფრო ადვილად შესამჩნევია მარცვალზე, რომელსაც შეიძლება მოედოს პირველ გამოკვირტვის დროსვე. როდესაც ნაცარი ბლომად ეფინება მარცვალს, მარცვალი ხმება და ცვივა ვაზიდამ, ნაცარი მთელ მტევანს თანასწორად არ ედება. ხშირად იმ მტევანზე, რომელიც სიმწიფეში შესულია, ნაცარი მხოლოდ იმ პატარა მკვახე მარცვლებს აჩნდება, რომელიც უფრო გვიან გამოსულა. როდესაც დაუსრულებელ მტევანს უჩნდება ეს ავად-მყოფობა, შეიძლება მარცვლები არ გახმეს და კიდევაც დამწიფდეს, მაგრამ ამ ნაირი მარცვლები ყოველთვის უფრო წვრილია და კანი უფრო მაგარი და სქელი აქვს. ავად-მყოფობა შეიძლება გაძნელდეს და იქამდე მივიდეს, რომ

---

*) ამ სახელით იწოდება ერთ გვარი თვალით-უჩინარი მცენარე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სოკო (champignon). დამტკიცებულია, რომ ამ გვარ სოკოების შედეგია ის ავად-მყოფობა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ნაცარს. მაშასადამე ნაცარიც იგივე სოკოა და იკვებება მხოლოდ იმ ნაწილებით, რომელნიც მცენარის კანშია.

**) მწვანე ნიშნავს დაუმწიფებელს, დაუსრულებელს. საზოგადოდ მკვახე ხილი მწვანეა.

უპასუხა თავ-მომწონედ გუდალახარელმა.

— ვინა ხართ თქვენ? ჰკითხა მთავარმა.

— მე?.. თქვენ ვინღა ხართ?

— მე, მე მთავარი ვარ!..

— მე ალონზო გახლავართ, გუდალახარელი გიდალგო! სთქვა ეს გულ-მოსულმა გუდალახარელმა, და არხეინად გაუდგა თავის გზასა.

მთავარმა, რასაკვირველია, ბევრი იცინა ამ გლეხის წინ-დაუხედავ ამპარტავნობაზე.

⁂

ამავე გუდალახარელებმა ისპანიის დედოფალს იზაბელას, რომელიც ეხლა ტახტიდამ არის გადაყენებული, უფრო კაი საქმე შეამთხვიეს.

ერთხელ იზაბელას, ჯერ როდესაც კიდევ დედოფლად იყო, ერთ ქალაქიდამ მეორეში წასვლა მოუხდა. გზაზედ ერთ გუდალახარის სოფელზე უნდა გაევლო. სოფელს ნახევრად დანგრეული გალავანი ჰქონდა ირგვლივ შემოვლებული და გალავნის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი. თვით მთელის სოფლის ვაჟ-კაცობა სოფელ გარედ გამოსულიყო და შეიარაღებული გალავანს ჩაჰმწკრივებოდა. წარმოიდგინეთ იზაბელას განცვიფრება! გუდალახარლები თავიანთ დედოფალს სოფელზე გაელის ნებას არ აძლევდნენ. დედოფლის თანამხლებლებმა უბძანეს გუდალახარლებს, რომ კარი გაეღოთ და გზა მიეცათ.

— ვის უნდა მივცეთ გზაო? გულარხეინად იკითხეს გუდალახრელებმა.

— მათ უდიდებულესობას, დედოფალს იზაბელასა.

— ჩვენ მაგისთანა დედოფალს არ ვიცნობთო.

— რაო, როგორ?.. დაიწყეს კითხვა და აი რა გაიგეს.

აღმოჩნდა, რომ ამ სოფლის მცხოვრებთ, გუდალახარლებს მხოლოდ ერთი დედოფალი სწამთ-ღვთის-მშობელი, ისპანიის დედოფალი იზაბელა კი მხოლოდ მოადგილეა ნამდვილის დედოფლისა, მღვთის-მშობლისაო. კარები იმიტომ დაუკეტეს იზაბელას, რომ გუდალახარლები გულ-ნაკლულად იყვნენ თავიანთ დედოფლის მოადგილეზე, ისპანიის დედოფალზე. და გულ-ნაკლულად აი რად იყვნენ: ამ სოფლის ადათით, ყოველმა მეფემ, რომელიც ისპანიის ტახტზე დაჯდება, გუდალახრელების დედოფალს მღვთის-მშობელს მარგალიტებით შემკული კაბა უნდა გამოუგზავნოს. რადგანაც იზაბელამ ეს არ აასრულა, ამიტომ გუდალახარლებმა თავიანთ სოფელზე არ გაატარეს. მეტი ღონე არ იყო, იზაბელას სოფლის გარშემო უნდა მოევლო. მერე, როდესაც იზაბელა მადრიდში დაბრუნდა, მოიგონა და გუდალახარლების მღვთის-მშობელს ძვირფასი კაბა გაუგზავნა. გუდალახარლებს გაუხარდათ ეს, მაშინვე ამოირჩიეს რამდენიმე კაცი და იზაბელასთან გამოგზავნეს მადრიდში მადლობის გადასახდელად. იზაბელამ დიდის ამბით მიიღო გუდალახარლები.

— ჩვენმა დედოფალმა გაპატიეთ, შეიწყნარა თქვენი ძღვენი და დღეიდამ ნება გაქვთ, ჩვენის დედოფლის მოადგილედ ითვლებოდეთო, — დინჯად მოახსენეს იზაბელას გუდალახარლებმა და დაბლა თავი დაუკრეს.

— დღეის იქით, როდესაც კი თქვენი უდიდებულესობა ინებებს და ჩვენკენ მობძანდება, ჩვენის სოფლის კარი ღია იქმნებაო.

⁂

ამავე იზაბელასთან მეორედ უფრო კიდევ თავი იჩინეს გუდალახარლებმა. ერთხელ როგორღაც იზაბელა მთელის დღით ერთს პატარა სოფელში მივიდა, სადაც გლეხები ცხვრის მოშენებას მისდევდნენ ძალიან. დედოფალი თავ-მდაბლად ელაპარაკებოდა გლეხებს, ეხუმრებოდა. სხვათა შორის იზაბელამ შენიშნა, რომ ერთი გუდალახარელი გლეხი ძალიან ჩასცქეროდა თვალებში.

— მოგწონვარო, ჰკითხა იზაბელამ.

— ო, ძალიანაო! უპასუხა ახალგაზდა გუდალახარელმა და თან გაწითლდა.

— რა, განა ლამაზი ვარ...

— თქვენო დიდებულებავ... თქვენ, —ალტაცებით წამოიძახა გლეხმა—, თქვენ ძალიან მშვენიერი ხართ.

⁂

უფრო კარგია ერთი ზღაპარი, რომელიც უსათუოდ გუდალახრელის სიამაყის, ამპარტავნობის გამოსახატავად არის მოგონილი. აი საქმე რაშია.

ერთს გუდალახარელს აუჩემებია, რომ უთუოდ ვერცხლის მადანი უნდა ვიპოვნოვო. მერე გგონიათ წასულა სადმე, ცდილა, ძებნა დაუწყვია? არა,— კეთილ-შობილს გიდალგოს უნდოდა, რომ გაურჯელად, უჯაფოდ ეპოვა მადანი, და აი მიადგა თურმე პეტრე მოციქულის ხატსა და ყოველ დღე მხურვალედ ევედრებოდა: ვერცხლის მადანი მაპოვნინეო. მოციქულმაც თურმე ითმინა, ითმინა და ბოლოს გაჯავრდა. გაჯავრდა და აი ერთხელ, როდესაც გუდალახარელი ჩვეულებისამებრ ევედრებოდა, ეპოტინებოდა და ხელ-ფეხს უკოცნიდა მოციქულის ხატსა,—ხატი ერთბაშად შეინძრა, მოციქულმა ხელები ზე აღაპყრო და უთხრა გუდალახარელსა:

— თავის დღეში არ გეღირსება შენ ვერცხლის მადანიო.

— რატომაო,—გაუკვირდა გუდალახარელსა.

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ წუწუნით ქვრივზე უარესად მომაბეზრე თავიო და მეორე კიდევ იმიტომ, რომ შნო არა გაქვს, სიმდიდრე მოიხმაროო.

გუდალახარელმა იწყინა ასეთი პასუხი, აენთო მაგრამ უცბად ისევ შესდგა: მოაგონდა, რომ მოციქული უვნებელია. მაშინ გუდალახრელმა თავ-მომწონედ გადიგდო მხარზე წამოსასხმელის კალთა, სამ ნაბიჯზე უკან დაიწია და ასეთი პასუხი უთხრა მოციქულს:

უარის თქმა შენი ნებაა, რაც უნდა იყოს, მე კეთილშობილი ვარ, გიდალგო... სთქვა ეს, კეთილშობილმა გიდალგომ, გაეხვია თავის დაგლეჯილ წამოსასხმელში და გულ-მოსულმა ზურგი შეუბრუნა მოციქულს.

დონ-იაგო

მარცვალი ორად, სამად და ოთხადაც გასქდეს. გახეთქილი მარცვლები ხმება. თუ ნოტიო ამინდია და ყურძენი სიმწიფეშია შესული, მაშინ მარცვალი აღარა ხმება კი, ლპება და ისე ცვივა ვაზიდამ.

სითბო და სინოტიო ძალიან ხელს უწყობს ნაცრის გაჩენას, როგორც ზევითა ვსთქვით, ეს ავად-მყოფობა შეიძლება გაუჩნდეს ვაზს პირველ კვირტის გამოტანის დროიდამვე, მხოლოდ ამ დროს ავად-მყოფობას დიდი სიმძლავრე არა აქვს, რადგან სითბო საზოგადოდ არ აღემატება 12°—14°C. რაც უფრო მეტად თბება, ნაცარიც უფრო მატულობს და მეტს ძალასაც იჩენს. როდესაც სითბო არის 20°C., ნაცარი ძრიელ მოქმედობს. 35°C., როგორც ერთი გამოჩენილი აგრონომი მარესი (marés) ამბობს, ნაცარი თითქმის ველარ მოქმედობს, თუმცა, როგორც ესევე მსწავლული გვარწმუნებს, 40°C. ნაცარი კიდევ ცოტაოდენ სიცოცხლეს იჩენს, 55°C. კი სრულიად კვდება.

როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში და გერმანიაში, პირველად ორანჟერეიაში აღმოაჩინეს, ე. ი. იმისთანა ალაგას, სადაც სითბოსთან ერთად ყოველთვის არის სინოტიოც. ნოტიობაც მართალია ხელს უწყობს ნაცარს, მაგრამ პირველი ალაგი მაინც სითბოს უჭირავს.

ნაცრის წინააღმდეგ ხმარობენ წმინდათ დანაყილ გოგირდს და ეს წამალი მართლაც ავად-მყოფობას ჰშველის, თუმცა სამუდამოდ კი ვერა სპობს. ამიტომ იმისთანა ვაზებს, რომელთაც შესჩვევიათ ეს ავად-მყოფობა, უნდა ყოველ წლივ შეაყარონ გოგირდი. რადგან გოგირდის ხმარება ჩვენშიაც შემოიღეს ამ უკანასკნელ წლებში. ამიტომ ამის ხმარებაზე არას ვიტყვით, მხოლოდ მოკლედ მოვიხსენებთ , თუ რა გავლენა აქვს გოგირდს ვაზზე.

„ყველა ახლად გაშენებულ ვენახის მოვლაში მეთოდიური და დროგამოშვებითი ხმარება წმინდათ დანაყილის გოგირდისა ყველაზედ უმთავრესად საჭიროა, როგორც ავად-მყოფობის მოსასპობლად, ისე ვაზის სახეიროდ (végétation).“ ეს ზემო მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის მარესს და დღეს ზოგიერთ ალაგას გოგირდს აყრიან არამც თუ მარტო ავად-მყოფს ვაზებს, არამედ საღ ვაზებსაც.

გოგირდი ვაზს ამაგრებს, დიდხანს აძლებინებს, უფრო მწვანე ფერს აძლევს და ფოთლებიც იშვიათად სცვივა. მართლაც და ნაცრით ავად-მყოფი ვაზი, რომელიც სრულიად განთავისუფლდა ავად-მყოფობისგან გოგირდის წყალობით, უფრო საღია, სრული და მოსავალსაც მეტს და რამოდენიმე დღით ადრე იძლევა.

ყველა სიკეთესთან გოგირდს წუნიცა აქვს. თუ გოგირდს გვიან ხმარობენ, როდესაც ყურძენი შემოსულია, გოგირდი რჩება მარცვლებზე და ღვინოს ცუდს გემოს აძლევს. ეს გემო მით უფრო დიდ ხანს შერჩება ხოლმე, რაც გოგირდი მომეტებულად ჰქონდა ვაზს მოყრილი. ამ შემთხვევაში ღვინო ორჯელ ან სამჯერ უნდა გადაიღონ. უკეთესია ამისი თავიდამვე აცილება და ეს ადვილიც არის: გოგირდი ერთის თთვით წინად, ვიდრე ყურძენს მოჰკრეფდნენ, უნდა იხმარონ.

რაც გოგირდი მიწაზე დაცვივა ხმარების დროს, დაკარგული არ არის: ვაზისთვის გოგირდს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვა ყოველ გვარს სასუქსა.

ი. გ—ძე

3 ოქტომბერს 1886 წ.
ქ. მონპელიე

უცხოეთი

ბოლგარია. გუშინდამ დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Новости“-ს, რომ იმ 84 აფიცერს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 9 აგვისტოს ამბოხებაში და ამ ჟამად დატუსაღებულები არიან, ძალიან ცუდად ეპყრობიან. ცუდის სადგომისა და საჭმელის გამო უმეტესი ნაწილი ავად დასნეულა. გაზ. „N. Wien. Tagblatt“-ის სიტყვით ამ დატუსაღებულთა საქმეს სასამართლო ნოემბრის თთვეში გაარჩევსო.

— კარაველოვს სთხოვეს, შენ თავად შემოიტანე სამსახურიდამ გასვლის ქაღალდი, თუ არ გინდა, რომ დიდმა საერო კრებამ გაგისტუმროსო. კარაველოვმა უპასუხა, რომ მე უფრო მაგრად ვსდგევარ ჩემს ალაგზედ, ვიდრე სტამბულოვი და მუტკუროვიო.

— «Temps»-ი იწერება: „როგორც ნამდვილად შევიტყეთ, რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩააყენებს ჯარებს ბოლგარიაში, თუ დიდი საერო კრება ბატტენბერგის სასარგებლოდ იმოქმედებს და ბატტენბერგის ამორჩევას მოიწადინებს ბოლგარიის მთავრადაო.

— გაზეთები „Standard“-ი და «Daily News»-ი ძალიან გახარებულნი არიან იმ ამბით, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა ასე შეუპოვრად მოიქცა, არჩევნები დანიშნა და ეს არჩევანიც ასე ბედნიერად გათავდა—ბოლგარიის მთავრობის სასარგებლოდაო. მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ ამ გაზეთებს, ვაი თუ უგულობამ ძალიან შეაწუხოს ბოლგარიის დროებითი მთავრობა, რადგან ამ ჟამად ბოლგარიის ხაზინა ცარიელია და არც შემოსავლელია ფული საიდგანმე მხედველობაშიაო. თქმა არ უნდა, ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაშია, რომ მკვიდრთ ფულს ვერ გააწერს და ამით მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილებას არ დაჰბადავს მცხოვრებელთა შორისო. „Daily News“-ი მაინც სასო-წარკვეთილებას არ ეძლევა და იმითი ნუგეშობს რომ „ბოლგარიის საქმე მთელის ევროპის საქმეაო, და თუ ამ საქმის გარდასაწყვეტად საჭირო იქნება ფული, ადვილად იშოვებაო.“

— სტამბოლელი კორრესპონდენტი „Daily News“-სა ამბობს, რომ ოსმალეთის წრეებში დარწმუნებულნი არიან, დიდი ამბებია მოსალოდნელიო. ამბობენ, გარდაწყვეტილია, რომ თუ რუსეთმა ბოლგარია დაიჭირა ჯარებით, ოსმალეთი აღმოსავლეთ რუმელიას დაიჭერსო. განკარგულება მოახდინეს, რომ ზურგის ჯარი მაკედონიაში გაიგზავნოსო.

— გაზ. „Standard“-ის სოფიელი კორრესპონდენტის სიტყვით, ბოლგარიის დროებითმა მთავრობამ გარდასწყვიტა სტამბოლში გაჰგზავნოს განსაკუთრებული ელჩი, აუწყოს პორტას თავისი ეხლანდელი მდგომარეობა და შემწეობა სთხოვოსო. ამ თანამდებობისთვის, უეჭველია, მინისტრად ნაჩოვიჩს ან გრეკოვს ამოირჩევენო.

— ბოლგარიის სამთავრო ტახტისთვის კიდევ ახალი კანდიდატი აღმოუჩენიათ. ეს კანდიდატი პრინცი ფერდინანდ კობურგ-გოტსკია. ამ პრინცის ამორჩევაზედ დათანხმებულან ევროპის ყველა დიდნი სახელმწიფონი, მხოლოდ რუსეთის პასუხი არ არის ჯერ მიღებული ამის გამოო. პრინცი ფერდინანდი დაიბადა 1861 წელს, უმცროსი შვილია განსვენებულის პრინცის ავგუსტ საქსონისა პრინცესის მარი კლემენტის ასულის ბურბონ-ორლეანისა და შვილის შვილი კოროლის ლუი ფილიპპესი. ძმების მხრივ ნათესავად ითვლება ბრაზილიის სასახლესთან—პედრო II-ისა და ბელგიის სასახლესთან—ლეოპოლდ II-ისა და ერთი და ამ პრინცისა ავსტრიის სასახლეშია გათხოვილი.

— ამ დღეებში სოფიაში გამოსულა პატარა წიგნაკი, რომლის ავტორადაც ცანკოვსა სთვლიან. წიგნაკის ავტორი აღგვიწერს ეხლანდელს მდგომარეობას ბოლგარიის საქმეებისას; აფრთხილებს ბოლგარიის მთავრობას, რუსეთის წინააღმდეგ ნუ იმოქმედებო და რუსეთს არ ურჩევს ჯარების ჩაყენებას ბოლგარიაში. დასასრულ ავტორი ამბობს: თუ გვინდა რომ წესიერება და მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ ბოლგარიაში, საჭიროა, რომ:

1) ეხლანდელი მთავრობა ბოლგარიისა, რეგენტები და მინისტრები, გადადგნენ თავის ადგილიდამ და იმისთანა კაცებს დაუთმონ, რომელთაც ბოლგარიის ერიც ენდობა და რუსეთიცაო;

2) შეამცირონ ჯარების რიცხვი 5,000-მდის, ვიდრე ახალს მთავარს ამოირჩევდნენ;

3) მოიწვიონ რუსეთის აფიცრები, როგორც მცოდნენი საომარის ხელოვნებისა, და მათ ჩააბარონ ბოლგარიის ჯარის გამგეობა და გაწვრთნა;

4) აღადგინონ მეგობრული დამოკიდებულება რუსეთთან, გამოუცხადონ რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს ერთგულება და ამით დაამტკიცონ, რომ უთანხმოება რუსეთისა და ბოლგარიის შუა ზოგიერთთა მაშვოთართა და მოღალატეთა მიზეზით მოხდა;

5) ამოირჩიონ ბოლგარიის მთავრად გენერალი იგნატიევი და ან სხვა, რომელიც გამოდგებოდეს ამ თანამდებობისთვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამორჩეული ნემეცის ჩამომავლობისა არ იყოს;

6) დროებით გაისტუმრონ და სხვაგან გაჰგზავნონ საცხოვრებლად ბოლგარიიდამ ისინი , ვინც წესიერებას არღვევენ და მშვიდობიანობის წინააღმდეგნი არიან;

7) გამოიცვალოს ზოგიერთი მუხლი კონსტიტუციისა ისე, რომ მექოთა-მეშამელთა და მაშვოთართა ვეღარ შეეძლოთ ქვეყნის აშლა-დაშლა ან სიტყვიერად და ან წერილის შემწეობით;

და 8) გაანთავისუფლონ აფიცრები და სხვანი, რომელთაც ცხრა აგვისტოს არეულობაში მონაწილეობა მიუღიათ და ამ ჟამად დაპატიმრებულნი არიან.

სტოიანოვსაც გამოუცხადებია ცალკე წიგნაკით თავისი პროგრამა და აზრი ბოლგარიის საქმეთა გამო...

დეპეშა

16 ოქტომბერი

ვარნა. აქ უკვე მოვიდა ერთი გემი 150 კაცით; მეორე გემსაც ელიან.

გენერალ კაულბარსმა გამოაცხადა, რომ თუ არეულობაში მონაწილე აფიცრები დასაჯა ბოლგარიის მთავრობამ, რუსეთი იძულებული იქნება უმწვერვალესი ღონის-ძიებანი იხმაროსო.

ვენა. მიტროპოლიტს კლიმენტს უარი უთქვამს, ვერ ვიკისრებ იმ დეპუტაციის მეთაურობას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორთან აპირებს წასვლას, ვიდრე დაპატიმრებულ აფიცრებს არ გაანთავისუფლებთო. საეჭვოა, რომ ცანკოვისა და კარაველოვის დასნი დაესწრონ დიდს საერო კრებასაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**. ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

18 დღე შაბათი. წმ. მოციქ.-მახარობ. ლუკასი. წმ. მოწ. მარინესი. კათოლ. წმ. მოციქ.-მახარობ. ლუკასი. სომეხ. წმ. მოციქ. მახარობელთა: მათე, მარკოს, ლუკა და იოანე. ჭეშმარიტი შუა დღე 11—43—46. ტფილისში მზე ამოდის 6—30, ჩადის 5—75; მთვარე ამოდის 9—44, ჩადის 7—23.

19 დღე კვირა. წინ.-მეტყ. იოელისა, ნეტარისა კლეოპატრისა, კათოლ. წმ. აღმსარ. პეტრე ალკანტარიელისა. სომეხ. მე-6 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). დაღესტნის ლეკები თავს ესხმიან კახეთს, მაგრამ მცხოვრებელნი განაძევებენ კახეთითგან, 1802 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—44. ტფილისში მზე ამოდის 6—31, ჩადის 4—56; მთვარე ამოდის 10—41, ჩადის 8—15.

20 დღე ორშაბათი. დიდ-მოწ. არტემისა. კათოლ. წმ. აღმს. იოანნე კანტელისა. სომეხ. წმ. ლუკიანე ასისთავისა; იოსებ, მამისა ღვთისა და სხ. უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ ერევნისა და ქუთაისის გუბერნიაში დაარსდეს სამასწავლებლო სემინარიები, 1880 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—42. ტფილისში მზე ამოდის 6—33, ჩადის 4—55; მთვარე ამოდის 11—33, ჩადის 9—8.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

პეტერბურგის ბირჟა, 14-ს ოქტომბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	8 მ. 60 კ.	—	—
ტამოჟნის კუპონები.	—	—	167¼ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთ.	—	—	240 მან.
— მეორისა	—	—	222½ მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	97 მან.	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან.	—

განცხადებანი

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—21)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—7)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავადაზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე